



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

28

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და
რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში

იუჯინე კობახიძე



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

იუჯინ კობანი

**რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და
რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში**

28

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7035-8

ზოგი თურქი ანალიტიკოსისა და პოლიტიკური მიმომხილველი ფიქრობს, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ამ ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას შეიძლება ეწოდოს „თურქეთის დამოკიდებულება სტრატეგიის გარეშე“. სწორედ ამ მოსაზრების დადასტურების მცდელობაა ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა.

ძირითადი საკითხები

1. უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლო სამი-ოთხი წელია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების შესახებ ღია წყაროებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია ძალიან მწირია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ თურქეთის აკადემიური წრეები ნაკლებად არიან დაინტერესებული შეისწავლონ ეს საკითხი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ორი ანგარიში მომზადდა: ერთი – ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ოკტაი ტანრისევერის, ხოლო მეორე – USAK/სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის ევრაზიული კვლევების ცენტრის მკვლევართა ჯგუფის მიერ. ინფორმაციის სიმწირე იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ აშშ-თურქეთის ურთიერთობები, მათი გაუმჯობესებისა თუ გაუარესების პერიოდების მიუხედავად, მაინც ჩრდილავს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. საკამათოა რამდენად დაჩრდილავს სამომავლოდაც აშშ-თურქეთის ურთიერთობები რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს, თუმცა ამ სტატიის მთავარი თემა ეს არ არის.
2. ბოლო 12 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც თურქეთის ხელისუფლებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტია მოვიდა, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები შეიცვალა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ამ პროცესს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საფრთხე მოჰყვა – თურქეთი რუსეთის ენერგორესურსების მიწოდებაზე გახდა დამოკიდებული. ეს მნიშვნელოვანი საკითხი თურქეთის აქილევსის ქუსლად იქცა, მიუხედავად თურქეთის მტკიცებისა, რომ ის ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყანა და ევროპისთვის ენერგომატარებლების სატრანზიტო ცენტრი, ანუ ჰაბია. თურქეთის ეს მტკიცება, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, შორსაა რეალობისგან. შესაძლოა, თურქეთი ცდილობს, ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყანა და ევროპისთვის ენერგომატარებლების სატრანზიტო ცენტრი გახდეს, მაგრამ ამისათვის თურქეთმა გრძელი გზა უნდა გაიაროს.

3. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, საფრთხეა სავაჭრო დისბალანსი, რომლის გამოსწორების ვალდებულებაც ქვეყანამ 2004 წელს, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის თურქეთში ვიზიტის დროს იკისრა. მიუხედავად ამისა, სავაჭრო დეფიციტმა 2008 წელს 24 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და მას შემდეგ უფრო ღრმავდება. ორმხრივ ვაჭრობაში ბალანსის მიღწევა ძალზე რთულ ამოცანად ისახება – განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო ათწლეულში თურქეთი ენერგომომარების გაორმაგების პროგნოზს აკეთებს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, თურქეთის დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე ქვეყანას რთულ ვითარებაში აყენებს.
4. დივერსიფიცირებით რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების ნაცვლად თურქეთის მთავრობამ რუსულ კომპანიებს თურქეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა შესთავაზა. ამრიგად, ხატოვნად რომ ვთქვათ, რუსეთზე დამოკიდებულება სულ უფრო ავინროებს თურქი გულივერის კისერზე ჩამოცმულ ყულფს.
5. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თურქეთის საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის რეჯებ ტაიპ ერდოღანის სრული მხარდაჭერით, რუსეთთან მიმართებით ძალიან ვიწრო და არამორსმომავალ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პოლიტიკას ატარებს. არც ერთი ამ სამინისტროებდან არ ითვალისწინებს ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, კერძოდ იმას, რომ მათი პოლიტიკა თურქეთს ერთ ქვეყანაზე – რუსეთზე – დამოკიდებულს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თურქეთისთვის ბუნებრივი აირის საიმედო მიმწოდებელი აღმოჩნდა, რუსეთს არც ბუნებრივი აირის ფასის შემცირება სურს და არც თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების შემსუბუქებით არის დაინტერესებული. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება თურქეთის დამოკიდებულება რუსეთზე, მით უკეთესი იქნება რუსეთისთვის.
6. თუ თურქეთს სურს შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი, მან რუსეთთან მიმართებით საფუძვლიანად უნდა გადასინჯოს მთელი თავისი პოლიტიკა და არა მხოლოდ ენერგეტიკული და ეკონომიკური პოლიტიკა. რუსეთის მოხერხებული მცდელობა, მოიპოვოს დომინანტური როლი შავი ზღვის რეგიონში ბალტიის ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნებთან გამკლავების დიდ გამოცდილებას და რეალურ ცოდნას ეფუძნება. ბალტიის ზღვასა და შავ ზღვასთან დაკავშირებით რუსეთის

პოლიტიკაში გარკვეული ხარისხის სინერგია არსებობს და რუსეთმა იცის, როგორ გამოიყენოს ეს პოლიტიკა თავის სასარგებლოდ.

7. 2008 წლის კრიზისმა, როგორც ჩანს, წარმატებით მიიტანა მნიშვნელოვანი გზავნილი ადრესატამდე: რუსეთი საკუთარ ეროვნულ ინტერესებს კავკასიაში სრული სერიოზულობით ეკიდება და ანკარა გავლენის გაზრდას ამ რეგიონში მხოლოდ მოსკოვთან კოორდინირებული სვლებით შეძლებს [ავტორის ხაზგასმა] და არა ნატოს მოკავშირეებთან კოორდინირებული ქმედებით. ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ თურქეთს უფლებას არ მისცემენ შემოიყვანოს და დაეყრდნოს ნატოს მოკავშირეებს და ნაცვლად ამისა, თურქეთმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოუსმინოს იმას, რასაც მოსკოვი იტყვის. შედეგად, თურქეთი ყველანაირად ცდილობს არ გააღიზიანოს მოსკოვი, თუმცა რუსეთი შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიას კვლავ თავის, და არა სხვის, უკანა ეზოდ მიიჩნევს.
8. ცნობილი თურქი პოლიტიკური მიმომხილველის სემიჰ იდიზის თქმით, „სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო პოზიციის გამყარება, როგორც ჩანს, შემდგარ ფაქტად არის აღიარებული“. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ამჟამად და, სავარაუდოდ, ახლო მომავალშიც თურქეთი მოსკოვის თამაშის წესებს აღიარებს.
9. ბოლოდროინდელი შემთხვევა – რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და ამ ფაქტზე ანკარის თავშეკავებული რეაქცია – ჩვენს არგუმენტს ამყარებს; კერძოდ, თურქეთი ყურადღებით უსმენს, რას ამბობს რუსეთი ამ საკითხზე და მოსკოვის პოლიტიკურ ხაზს იცავს. მიუხედავად არაერთი განცხადებისა, რომ თურქეთი სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, პრაქტიკულად იგი რუსეთთან დაპირისპირებას ერიდება. მართალია, თურქი პოლიტიკოსები და ექსპერტები შესაძლოა არ დაგვეთანხმონ, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ თურქი პოლიტიკოსები არ არიან მზად პრეზიდენტ პუტინისა და მისი გუნდის ქმედებები და ქცევის მანერა გააკრიტიკონ.
10. მოკლედ, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ალევორიულად ალექსანდრე პუშკინის მებადურისა და ოქროს თევზის ზღაპარს მოგვაგონებს, ოღონდ აქ სიხარბის ნაცვლად, ჩემი ინტერპრეტაციით, ლაპარაკი თურქულ თამაშში მკაფიოდ არტიკულირებულ და განხორციელებულ რუსულ წესებზე უნდა გვექონდეს.

თუ თურქეთი შავი ზღვის რეგიონში ნეიტრალურ პოზიციას შეინარჩუნებს, ის ამისთვის დაჯილდოვდება.

თუ თურქეთი კავკასიაში რუსეთის ინტერესების სფეროსგან თავს შორს დაიჭერს, ის ამისთვის დაჯილდოვდება.

თუ თურქეთი შეინარჩუნებს მეგობრულ ეკონომიკურ, დიპლომატიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას ცენტრალური აზიის მოძმე ქვეყნებთან რუსეთის წინააღმდეგ ნასვლის, რუსეთის ლაღის და/ან გალიზიანების გარეშე, ის ამისთვის დაჯილდოვდება.

მეორე მხრივ, რუსეთი არ მიესალმება თურქეთსა და კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. თუ თურქეთი არ გაატარებს რუსეთის პოლიტიკურ ხაზს, ის დაისჯება.¹

რუსეთ-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები: რუსეთის მიერ კუთხეში მიმწყვედელი ანკარა

უეჭველია, რომ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება ძირითადად ენერგორესურსების საჭიროებების და პირადი კონტაქტების შედეგია. სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, AKP, რუსეთთან დაახლოება კომერციულ ურთიერთობებზე ააგო, რასაც ხელი პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის ახლო პირადმა ურთიერთობებმა შეუწყო (2005 წლის შემდეგ ორ ლიდერს შორის პირადი, კერძო შეხვედრა, სულ ცოტა, ცხრაჯერ გაიმართა რუსეთსა და თურქეთში). რაც უფრო მნიშვნელოვანია, თურქეთის დამოკიდებულება [ავტორის ხაზგასმა] რუსეთის ენერგორესურსებზე იმაზე მიუთითებს, რომ სხვა პარტიის მიერ დაკომპლექტებულ მთავრობასაც გაუჭირდება რუსეთთან კავშირები შეასუსტოს მოკლევადიან პერსპექტივაში² და, სავარაუდოდ, საშუალოვადიან პერსპექტივაშიც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორმხრივი კავშირები ვაჭრობის, ინვესტიციების, ენერგეტიკის და ტურიზმის სფეროებში გაიზარდა. რუსეთი თურქეთის წამყვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა და ორმხრივი ინვესტიციების მოცულობის ღირებულებამ 10 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.³ ჰასან კანბოლატის მონაცემების თანახმად, ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ვაჭრობა 2009 წლის 19.6 მილიარდი აშშ დოლარიდან 2010 წელს 25.3 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა და შემდეგ, 2011 წლის პირველ სამ კვარტალში – 32 მილიარდ აშშ დოლარამდე (და არა 22 მილიარდი აშშ დოლარი, როგორც ნათქვამი იყო)⁴ და ეს ზრდა გრძელდება. რუსეთი თურქული სამშენებლო ფირმების ერთ-ერთი მთავარი

მომხმარებელია. და მაინც, უზარმაზარი სავაჭრო დისბალანსი რუსეთის სასარგებლოდ [ავტორის ხაზგასმა], რაც რუსეთის ბუნებრივ აირსა და ნავთობზე თურქეთის მნიშვნელოვანი დამოკიდებულების შედეგია, თურქებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. სავაჭრო დისბალანსის გამოსწორების ვალდებულებების მიუხედავად, რომლებიც 2004 წელს, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის თურქეთში ვიზიტის დროს, იქნა ნაკისრი, ეს დისბალანსი კვლავაც არსებობს.⁵ პრეზიდენტ პუტინის ამ ვიზიტის შემდეგ კი უკვე ათი წელი გავიდა. იგორ ტორბაკოვის თქმით, თურქეთის მიერ ენერგორესურსების იმპორტსა და სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებას შორის მკაფიო კორელაცია არსებობს. ერთი თურქული ანგარიშის თანახმად, რომელიც იგორ ტორბაკოვს მოჰყავს, „2000-იანი წლების შუა პერიოდში სავაჭრო დეფიციტის 2.5 მილიარდი აშშ დოლარიდან 4 მილიარდ აშშ დოლარამდე ფარგლებში შენარჩუნების შემდეგ, 2008 წელს სავაჭრო დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა [ავტორის ხაზგასმა] 24 მილიარდ აშშ დოლარამდე“. მიუხედავად ზოგი მაღალი რანგის თურქი სახელმწიფო მოხელის მტკიცებისა, რომ ისინი რუსებს გამუდმებით უმეორებენ, რომ ანკარას „ბალანსი ორმხრივი ურთიერთობების ყველა ასპექტში“ სჭირდება, ორმხრივ ვაჭრობაში ეს ბალანსი, როგორც ჩანს, ძალიან რთული მისაღწევია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო ათწლეულში თურქეთი ენერგომომხმარებლის გაორმაგების პროგნოზს აკეთებს.⁶

ამჟამად თურქეთის გაზომმარაგების 55% რუსეთიდან შემოტანილ ბუნებრივ აირზე მოდის. მართალია, ეს პროცენტული წილი იმ ისტორიულად რეკორდულ მაჩვენებელზე - 60%-ზე - ნაკლებია, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაფიქსირდა,⁷ მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანი წილია. თურქული გაზეთის *Today's Zaman*-ის თანახმად, თურქეთს ნავთობის 12% ასევე რუსეთიდან შემოაქვს.⁸ ცოტა ხნის წინ თურქეთმა მოსკოვთან ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი ბუნებრივი აირის იმპორტის გაზრდასა და რუსეთის ფირმების მიერ თურქეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე. ეს გარიგებები ვაჭრობას 100 მილიარდი აშშ დოლარამდე გაზრდის 2015 წლისთვის (2014 წლის 35 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით), რამაც ზოგ თურქ ანალიტიკოსს უბიძგა, ეთქვა, რომ ეს სტრატეგიულ პარტნიორობად გარდაქმნის მომასწავებელია. მართალია ეს ენერგოდამოკიდებულება ორმხრივად სასარგებლოა, მაგრამ ის ამავე დროს რუსეთს მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს,⁹ რომ თურქეთი ჩექმის ქვეშ ჰყავდეს.

თურქეთი ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში ევროკავშირის საშუალო ფასზე ოდნავ მეტს იხდის. მაგალითად, როდესაც ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის საშუალო ფასი ევროკავშირში 30 აშშ დოლარზე „ოდნავ მეტია“,¹⁰ თურქეთი ამავე მოცულობის ბუნებრივ აირში დღეს 425 აშშ დოლარს იხდის.¹¹ და ეს ხდება თურქი ანალიტიკოსებისა და პოლიტიკური კომენტატორების განცხადებების მიუხედავად, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორობად ყალიბდება. როდესაც საქმე ბიზნესგარიგებას ეხება, რუსები თურქებს შეღავათიან ფასს არ სთავაზობენ და ეგრეთ წოდებულ სტრატეგიულ პარტნიორობას არანაირი რეალური ღირებულება არა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს საკუთარი თავის ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნად და ევროპისთვის ენერგომატარებლების სატრანზიტო ჰაბად წარმოჩენა სურს, რეალობა ძალიან განსხვავებულია. ჯერჯერობით თურქეთს რუსული ბუნებრივი აირის მონოდების ალტერნატივა არ უპოვია და არც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნად და ენერგომატარებლების სატრანზიტო ჰაბად ქცეულა.¹² ამიტომ რუსეთზე ეკონომიკური და ენერგეტიკული დამოკიდებულება თურქეთის აქილევსის ქუსლად რჩება, რაც ნამდვილად ნაკლებ სასარგებლოა თურქეთისთვის, ვიდრე რუსეთისთვის. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თურქეთის საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის რეჯებ ტაიპ ერდოღანის სრული მხარდაჭერით, ძალიან ვიწრო და არაშორსმომავალ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პოლიტიკას ატარებენ რუსეთთან მიმართებით და არ ითვალისწინებენ იმ მძიმე ფაქტს, რომ მათი პოლიტიკა თურქეთს ერთ ქვეყანაზე – რუსეთზე – დამოკიდებულს ხდის. ავტორისთვის უცნობია, გააზრებული აქვთ თუ არა თურქ პოლიტიკოსებს ეს წინააღმდეგობა და აკეთებენ თუ არა რაიმეს მის დასაძლევად. თუმცა ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თურქ პოლიტიკოსებს არა მარტო არა აქვთ გააზრებული ეს წინააღმდეგობა, არამედ ისინი ენერგეტიკის საკითხში რუსეთის ახირებულ სურვილებს დანებდნენ კიდევც.

ანკარის დიდი სურვილი – სჯეროდეს საკუთარი ძალის პროცირების და მოსკოვის რეალპოლიტიკა

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზემოხსენებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ანკარა დარწმუნებულია, რომ მას რუსეთთან ეფექტიანი მუშაობა შეუძლია შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური

თანამშრომლობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად. შედეგად, ანკარა წინააღმდეგობას უწევს ნატოს ოპერაციებს შავ ზღვაში. ანკარას ასევე სჯერა, რომ რუსეთთან ეკონომიკური, ენერგეტიკული და უსაფრთხოების კავშირების გაღრმავება მას ბერკეტს აძლევს, გააუმჯობესოს რეგიონული სტაბილურობა შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში. მაღალი რანგის თურქი სახელმწიფო მოხელეები დაჟინებით აცხადებენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობას სათანადო სიფრთხილით წარმართავენ და რომ თურქეთი თავისი ევროატლანტიკური კავშირებისადმი ერთგულებას ურყევად ინარჩუნებს.¹³ მიუხედავად მათი ასეთი თავდაჯერებულობისა, ანკარის ეს რწმენა ძალზე უსაფუძვლოა.

მოსკოვი შავი ზღვის რეგიონს და განსაკუთრებით კავკასიას თავისი ექსკლუზიური ქმედებების სივრცედ მიიჩნევს და არა თანაზიარი ქმედებებისა, როგორც ეს ანკარას შეიძლება ეგონოს. ანკარის რწმენა მყიფე ნიადაგს ეფუძნება და არა რეალისტურ შეფასებებს. მაგალითად, თურქეთის თავშეკავებული რეაქცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომზე ჩვენს მოსაზრებას ამყარებს. შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში რუსეთი, როცა სჭირდება, თურქეთის წინააღმდეგ მკაცრ თამაშს თამაშობს. თურქეთის ინიციატივა „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პაქტი“ ანდა პლატფორმა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იქნა შემოთავაზებული, რუსეთის წარმომადგენლებმა თავიდანვე უგულვებლყვეს და შემდეგ ეს ინიციატივა დღის წესრიგიდან უჩუმრად გაქრა. დღეს მხოლოდ თურქებს თუ ახსოვთ, რომ ასეთი ინიციატივა შეთავაზებული იყო.

ჩვენ არ ვცდილობთ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარების უტრირებას, გვინდა მხოლოდ გავაფრთხილოთ თურქები, რომ სათანადოდ შეაფასონ რუსები, რომლებიც აგრესიულ პოლიტიკას გაატარებენ რეგიონში საკუთარი ინტერესების „დასაცავად“.¹⁴ ცოტა ხნის წინ რუსეთის მიერ ყირიმის უსისხლო სამხედრო ანექსია სწრაფი და დაუნდობელი იყო. ამან თურქეთის ხელისუფლება დაამუხჯა და თურქეთი კიდევ ერთი, 2008 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მეორე ფაქტის წინაშე დააყენა. როგორც კემალ კაია ნერს, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა ყირიმის რუსეთთან შეერთება დე ფაქტო აღიარა.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ სონერ კავაპტაის და ჯეიმს ჯეფრის მოსაზრება არ არის ისეთი პირდაპირი, როგორც კემალ კაიასი, ისინიც თანხმდებიან, რომ თურქეთის რეაქცია მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიაზე თავშეკავებული იყო.¹⁶

მოსაზრება, რომ თურქულ მგელს რუსული დათვის მოთვინიერება შეუძლია, მცდარი და სახიფათოა. გარდა ამისა, მოსაზრება, რომ რუსეთის ძალაუფლება სუსტდება, ხოლო თურქეთისა ძლიერდება, აღარ არის სწორი. თურქეთის თავშეკავებულმა რეაქციამ აჩვენა, რომ თურქეთის ამბიციები, რუსეთთან თანაბარი როლი ეთამაშა შავი ზღვის რეგიონში, დაიმსხვრა, მიუხედავად იმისა, რომ თურქი მოღვაწეები ჩვენს ამ მოსაზრებას იმთავითვე უარყოფდნენ.

დასკვნა

თურქეთის რწმენა, რომ რუსული დათვის მოთვინიერება შეუძლია, არის უადგილო, არასწორია და სამომავლო საფრთხის შემცველია. როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთის ენერგო-დამოკიდებულებამ რუსეთზე, მისმა სავაჭრო დისბალანსმა რუსეთთან, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმავდება, და მოსკოვთან ბოლოდროინდელმა შეთანხმებამ თურქეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე, თურქეთი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა და რუსეთს კიდევ უფრო მიაჯახჭვა. უდავოა, რომ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე ხელშეკრულებით მოსკოვმა უზარმაზარი სარგებელი მიიღო, ხოლო ანკარის რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი გაიზარდა. ამიტომ ეს ურთიერთობები ძალიან ცალმხრივია და აშკარაა, რომ ეს არის არა სტრატეგიული პარტნიორობა, როგორც ამას თურქი ანალიტიკოსები და პოლიტიკური მიმომხილველები აცხადებენ, არამედ დამოკიდებულება სტრატეგიის ან სტრატეგიული აზროვნების გარეშე. გარდა ამისა, ანკარა რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას ვერ ააგებს სამშენებლო ბიზნესსა და ტურისტულ კავშირებზე დაყრდნობით – ეს საკითხი აქტიურად და ღიად განიხილება პრესაში. მე ამას დავამატებდი, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ასეთი პარტნიორობისთვის მყარი საფუძველი არ არსებობს. რუსეთი თურქეთზე კონტროლს ინარჩუნებს და თურქ პოლიტიკოსებს ილუზიას უქმნის, რომ ისინი თავიანთ ურთიერთობებს რუსეთთან აკონტროლებენ.

ალბათ, მოსალოდნელია გაგრძელდეს თურქეთის ენერგო-დამოკიდებულება და ძალიან მოზომილი თურქული პოლიტიკა, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში კვლავაც უმნიშვნელო როლს შეასრულებს თურქეთი, განსაკუთრებით, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მმართველობის პირობებში. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ანკარა რუსეთის მჭიდროდ ნაქსოვ შავი ზღვის ქსელშია გაბმული

და მანევრირებისთვის ძალიან ცოტა სივრცე აქვს. პუტინი საკმაოდ გამჭრიახია და კარგად ესმის, თუ რა შეზღუდვები აქვს თურქეთს შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისთვის, მიუხედავად თურქეთის ცნობილი სურვილისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. გარდა ამისა, პუტინმა იცის, რომ ამჟამად და უახლოეს მომავალში თურქეთს რუსეთის გარდა სხვა ქვეყნიდან ბუნებრივი აირის მიღების ალტერნატიული ვარიანტები არა აქვს. მაგალითად, აზერბაიჯანიდან და ირანიდან ბუნებრივი აირის მოწოდება მთლიანი მიწოდების 30%-მდეა. შედეგად, პუტინი შეინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობებს ერდოლანთან და რუსეთის ბერკეტს ენერჯეტიკის სექტორში. პირად ურთიერთობებში, რომელთა შესახებაც პრემიერ-მინისტრ ერდოლანს ტრაბახი უყვარს, პუტინი რუსეთ-თურქეთის დირიჟორად რჩება, ხოლო ერდოლანს პირველი ვიოლინოს როლი აკისრია.

თუ თურქეთს სურს, შეამციროს დამოკიდებულება რუსეთზე, მან საფუძვლიანად უნდა გადასინჯოს თავისი მთელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. თუმცა, ეს საკითხი ჩვენი სტატიის ფარგლებს სცდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ძირითადი საკითხების 90 პროცენტი გამოქვეყნებული იყო ჩვენს სტატიაში “Turkish Acquiescence to the Russian Rules of the Game”, გამოცემაში *Military Technology* (ივნისი, 2014); გვ. 10.
2. J. Scott Carpenter and Soner Cagaptay, “Regenerating the US-Turkish partnership” გამოცემაში *The Washington Institute for Near East Policy, Policy Notes*, no. 2 (ნოემბერი, 2010) ვებგვერდზე: www.washingtoninstitute.org/publications/PDFs/PolicyNote02.pdf; გვ. 6. იხ. აგრეთვე: Oktay Tanrisever, “Turkey and Russia in the Black Sea Region: Dynamics of Cooperation and Conflict” გამოცემაში *EDAM (Centre for Economics and Foreign Policy Studies)*, no. 1 (2012) ვებგვერდზე: www.edam.org.tr/document/bsdp3.pdf; გვ. 10. Semdgom Simoxseniebulia, rogorc Oktay Tanrisever, “Turkey and Russia.” იხ. აგრეთვე: Habibe Ozdal, Hasan Selim Ozertem, Kerim Has and M. Turgut Demirtepe, “Turkey-Russia Relations in the Post-Cold War Era: Current Dynamics, Future Prospects” გამოცემაში *USAK/International Strategic Research Organisation, Center for Eurasian Studies, USAK Report*, no. 13-06 (ივლისი, 2013) ვებგვერდზე: http://usak.org.tr/images_upload/files/t%C3%BCrkiye%20rusya%20ing%20nete.pdf; გვ. 1-78. 2005 წლის იანვრიდან 2012 დეკემბრამდე პერიოდში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და პრემიერ-მინისტრ ერდოღანს შორის შეხვედრების შესახებ იხ. იგივე ნაშრომი; გვ. 23. შემდგომში მოხსენიებულია, როგორც Habibe Ozdal et al., “Turkey-Russia Relations.” Soner Cagaptay and James Jeffrey, “Turkey’s Muted Reaction to the Crimean Crisis” გამოცემაში *Policy Watch*, no. 2219 (4 March 2014) ვებგვერდზე: www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/turkeys-muted-reaction-to-the-crimean-crisis. შემდგომში მოხსენიებულია, როგორც Soner Cagaptay and James Jeffrey, “Turkey’s Muted Reaction.”
3. Stephen Flanagan, “Misplaced Priorities. Turkish Assessment of US Power” გამოცემაში *Center for Strategic and International Studies (CSIS)*, (17 ივნისი 2011) ვებგვერდზე: www.csis.org/publication/110613-flanagan-Capacity-Resolve-Web.pdf; გვ. 99-100. შემდგომში მოხსენიებულია როგორც Stephen Flanagan, “Misplaced Priorities.”
4. სტატია სრულად იხ.: “Davutoglu in Moscow: New Era in Turkish-Russian relations” ვებგვერდზე: www.todayszaman.com/columnist-269380-davutoglu-in-moscow-new-era-in-turkish-russian-relations.html - 23 იანვარი, 2012. შემდგომში მოხსენიებულია, როგორც Hasan Kanbolat, “Davutoglu in Moscow.” გაზეთ *Today’s Zaman*-ის თანახმად, 2014 წელს მოსალოდნელია, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ვაჭრობის მოცულობა 35 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბებს. www.todayszaman.com/newsDetail_openPrintPage.action?newsId=344905 – გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 17 აპრილი, 2014.

5. Eugene Kogan, "Turkish-American Strategic Partnership Versus Turkish-Russian Partnership Without Strategy" გამოცემაში *Sozialwissenschaftliche Schriftenreihe, Reihe Studien, Internationales Institut fuer Liberale Politik (IILP)* (ოქტომბერი, 2009), გვ.11. შემდგომში მოხსენიებულია, როგორც Eugene Kogan, "Turkish-American."
6. "Turkey and Russia: The Rise of an Uneasy Partnership in Eurasia", გამოუქვეყნებელი სტატია, რომლის ციტირებაც ავტორის ნებართვით ხდება, გვ. 15-16. შემდგომში მოხსენიებულია როგორც Igor Torbakov, "Turkey and Russia". ორმხრივი ვაჭრობის 80% თურქეთში რუსეთის ექსპორტისგან შედგება, 20% კი რუსეთში თურქეთის ექსპორტისგან და ეს სხვაობა იზრდება. Hasan Kanbolat, "Davutoglu in Moscow."
7. სტატია სრულად იხ.: Natalia Ulchenko, "What Is So Special About Russian-Turkish Economic Relations" გამოცემაში *Russian Analytical Digest*, no. 125 (25 მარტი, 2013) ვებგვერდზე: www.css.ethz.ch/publications/pdfs/RAD-125-5-10.pdf; გვ. 7.
8. სტატია სრულად იხ.: www.todayzaman.com/news-345668-gazprom-natural-gas-discount-for-turkey-not-on-agenda.html - 20 აპრილი, 2014.
9. Stephen Flanagan, "Misplaced Priorities"; გვ. 100. ამ დროისთვის ანკარას ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, რომ რუსულ ბუნებრივ აირზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას თავი დააღწიოს, მათ შორის უკრაინით ტრანზიტს. ტატია სრულად იხ.: Ian Lesser, "Turkish Stakes in the Ukrainian Crisis" გამოცემაში The German Marshall Fund of the United States (GMF), Analysis (6 May 2014); გვ. 1. პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი დაეთანხმა გარიგებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთი თურქეთის პირველ ატომურ ელექტროსადგურს ააშენებს. რუსეთს ექნება ამ ელექტროსადგურის საკონტროლო პაკეტი, რომლის მშენებლობაც, სავარაუდოდ, 20 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება და თურქეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე აიგება. <http://news.bbc.co.uk/2/hi/8678733.stm> - 12 მაისი 2010. თურქეთის ატომური ენერჯის სააგენტოს ყოფილი წევრის ჰასან საიგინის თქმით, ბირთვული რეაქტორი VVER 1200, რომელსაც რუსები აკუიუში [თურქეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე] ააშენებენ, არსად არ გამოუცდიათ. „ყველაფერი, რაც ამ მოდელს უკავშირდება, მხოლოდ ქალაქებზე არსებობს. მისი ტექნოლოგია და უსაფრთხოების სისტემების გამოცდა არ მომხდარა“. ჰასან საიგინის დამატებითი კომენტარებისთვის იმის შესახებ, თუ რა რისკები ემუქრება თურქეთს, როცა ატომურ ელექტროსადგურს რუსეთი ააშენებს, იხილეთ: Sinan Ulgen (ed.), "The Turkish Model for Transition to Nuclear Power" გამოცემაში EDAM (Centre for Economics and Foreign Policy Studies), (დეკემბერი 2011) ვებგვერდზე: www.edam.org.tr/EDAMNukleer/edamreport.pdf; გვ. 3. საინტერესოა, რომ 2013 წელს თურქეთის და რუსეთის მთავრობები საგზაო რუკაზე შეთანხმდნენ მომდევნო წლებ-

ში, და არა 2015 წლისთვის, როგორც ეს ნათქვამი იყო, ორმხრივი ვაჭრობის 100 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზრდისთვის (www.today-szaman.com/newsDetail_openPrintPage.action?newsId=344905 – 17 aprili 2014).

10. სრული სტატია იხ. ვებგვერდზე: www.bloomberg.com/news/2013-12-30/gazprom-s-european-gas-exports-rise-to-record-as-price-reduced.html
11. თურქეთისთვის მიწოდებული რუსული ბუნებრივი აირის ბოლოდროინდელი ფასის თაობაზე იხ.: www.trend.az/capital/energy/2264761.html - 18 aprili 2014. მაგალითად, ირანი თურქეთს ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 490 აშშ დოლარად აწვდის, ხოლო თურქეთი ათას კუბურ მეტრ აზერბაიჯანულ გაზს 335 აშშ დოლარად ყიდულობს. იქვე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთისთვის რუსეთი ენერგომატარებლების საიმედო მიმწოდებელია 1980-იანი წლებიდან, ამჟამად, რომ რუსეთს სულაც არ სურს მის ყველაზე მნიშვნელოვან საქონელზე ფასის დაწევა ანდა მიწოდების გზებზე მისი ძალაუფლების შესუსტება. Igor Torbakov, "Turkey and Russia"; გვ. 18. საინტერესოა, რომ რუსეთმა თურქეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებაზე ფასი კი არ დააკლო, არამედ გაზარდა. 2006 წლის 4 იანვარს „გაზპრომის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ალექსანდრე მილერმა, თურქეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ფასი 260 აშშ დოლარით განსაზღვრა. ამჟამად, თურქეთი 425 აშშ დოლარს იხდის. თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების შესახებ იხ.: Igor Torbakov, "Turkey and Russia"; გვ. 16; გვ. 18-19. „გაზპრომის“ მკაფიო განცხადება, რომ თურქეთისთვის ბუნებრივი აირის ფასის შემცირება დღის წესრიგში არ დგას, იხ. ვებგვერდზე: www.today-szaman.com/news-345668-gazprom-natural-gas-discount-for-turkey-not-on-agenda.html - 20 აპრილი, 2014.
12. Eugene Kogan, "Turkish-American"; გვ. 11.
13. Stephen Flanagan, "Misplaced Priorities"; გვ. 100. მოსკოვი და ანკარა ერთობლივად ეწინააღმდეგებიან ნატოს წინადადებას, გაფართოვდეს ალიანსის საზღვაო უსაფრთხოების ოპერაცია, Active Endeavour, ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე. სტატია სრულად იხ.: Vladimir Socor, "Moscow, Ankara Reluctant to Welcome New Black Sea Forum" გამოცემა Si The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, vol. 3, issue 12 ვებგვერდი: www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=31768&no_cache=1#.U4cwJnKSzTA – 9 ივნისი, 2006. ასევე იხ.: Habibe Ozdal et al., "Turkey-Russia Relations"; გვ. 22.
14. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად იხ.: Igor Torbakov, "Turkey and Russia"; p. 23; გვ. 25-26. ასევე იხ.: Oktay Tanrisever, "Russia and Turkey"; გვ. 19 და Cengiz Aktar, "Our Friend Russia?" ვებგვერდზე: www.today-szaman.com/columnist/cengiz-aktar_331944_our-friend-russia.html - 20 ნოემბერი, 2013.

15. “The Crimean Crisis: Turkey’s Priorities Differ From the Western Powers” გამოცემაში: *Turkey Analyst*, vol. 7, no. 6 (26 მარტი 2014) ვებგვერდზე: www.turkeyanalyst.org/publications/turkey-analyst-articles/item/98-the-crimean-crisis-turkey%E2%80%99s-priorities-differ-from-the-western-powers.html. ჰასან კანბოლატმა მომხდარი ფაქტთან დაკავშირებული საკითხი განავითარა და დანერა, რომ ყირიმის საკითხში ანკარის მხრიდან რუსეთის მხარდაჭერა ახლა თანდათან ღია მხარდაჭერაში [ავტორის ხაზგასმა] გადადის. სტატია სრულად იხ.: “How is Ukraine Affecting Turkish-Russian Relations?” გამოცემაში: *Today’s Zaman* ვებგვერდზე: www.todayszaman.com/columnist/hasan-kanbolat_345946_how-is-ukraine-affecting-turkish-russian-relations.html - 24 აპრილი, 2014.
16. “Turkey’s Muted Reaction.”